

გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე  
ვებგვერდი, 19/04/2017

## საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №0417/18-1

2017 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

### „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ნომერი 117 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული რედაქციით.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომერი 144.

3. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და მოძრაობა ალ-ქაიდასთან, ნომერი 152 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №2 დანართში მოცემული რედაქციით.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ვ. ხასაშვილი**

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმი (ები, ზედმეტი სახელი(ები))	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
117	<p><u>სახელები:</u></p> <p>1. რადი (RADI)</p> <p>2. აბდ ელ სამი (ABD EL SAMIE)</p> <p>3. აბუ ელ იაზიდი (ABOU EL YAZID)</p> <p>4. ელ აიაში (EL AYASHI)</p> <p><u>დაბ. თარიღი:</u> 02.01.72</p> <p><u>დაბ. ადგილი:</u> ელ გარბიას სახალიფო, ეგვიპტე (El Gharbia, Governorate Egypt)</p> <p><u>ეროვნება/მოქალაქეობა:</u> ეგვიპტელი</p>	მერა'ი (Mera'i)	<p><u>პასპორტის მონაცემები:</u></p> <p><u>პირადი ნომერი:</u></p>	ჩილევას ქ. 40, მილანი, იტალია (Via Cilea 40, Milan, Italy (Domicile).	<p>12.11.03 (ცვლილებები 09.09.05 21.12.07 16.05.11 29.03.17)</p>	<p>2006 წლის 21 სექტემბერს მილანის პირველი ინსტანციის სასამართლოს (court of First Instance of Milan) მიერ მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.</p> <p>სასჯელს იხდის იტალიაში.</p> <p>სასჯელის ვადა იწურება 2012 წლის 6 იანვარს.</p> <p>სასჯელის მოხდის შემდეგ ექვემდებარება გამეევებას იტალიიდან. უშიშროების საბჭოს 1822 (2008) რეზოლუციის შესაბამისად საქმის გადასინჯვა დასრულებული იქნა 2010 წლის 21 ივნისს. ინტერპოლის სპეციალური განცხადების ვებ ლინკი: <a href="https://www.interpol.int/en/notice/search/un/1418994">https://www.interpol.int/en/notice/search/un/1418994</a></p>

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

№	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
---	-------------------------	-----------------------------	-----------	-----------------------	-----------------

152	MUJAHIDIN INDONESIAN TIMUR (MIT)	<p>ა) Mujahidin of Eastern Indonesia</p> <p>ბ) East Indonesia Mujahideen</p> <p>გ) Mujahidin Indonesia Timor</p> <p>დ) Mujahidin Indonesia Barat (MIB)</p> <p>ე) Indonesia of western Indonesia</p>	ინდონეზია (Indonesia)	29.09.2015 (ცვლილება 30.03.17)	<p>ტერორისტული დაჯგუფება დაკავშირებული ერაყში და ლევანტში ისლამური სახელმწიფოს (ISIL)-თან, ირიცხება ალ-ქაიდას ორგანიზაციაში ერაყში (Al-Qaida in Iraq) (იურიდიული პირების სიაში № 83), JEMAAH ISLAMIYAH (JI)-ში (იურიდიული პირების სიაში №85) და JEMMAH ANSHORUT TAUHID (JAT)-ში (იურიდიული პირების სიაში №131). საქმიანობს jawa-სა და Sulawesi-ში, ინდონეზიაში და ასევე აქტიურია ინდონეზიის აღმოსავლეთ პროვინციებში. ლიდერი იყო აბუ ვარდაჰ (Abu Wardah), ფსევდონიმი სანტოსო (შანტოსო), (გარდაცვლილი)</p> <p>ინტერპოლის სპეციალური განცხადების ვებლინკი: <a href="https://www.interpol.int/en/notice/search/une/5919482">https://www.interpol.int/en/notice/search/une/5919482</a></p>
-----	--	---	-----------------------	-----------------------------------	---